ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

გადაწყვეტილება №3709336

ნომერი: AR1559774

თარიღი : 22.11.2017

გაცემის თარიღი : 30.11.2017

გაცნობის თარიღი : 04.12.2017

შედეგი : შუალედური.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , გიორგი ცაბაძის ქუჩა , N 14 ;

დამკვეთი-განმცხადებელი

- გივი ჩოჩია პ/ნ 01010007351
- თბილისი შ.ნუცუბიძის ფერდ III მ/რ II კვ. კორ. 1 ბ. 3

ორგანიზაცია:

- ცაბაძის 8 კოდი: 404940418

ნომენკლატურა :

- I კლასი
- აბრებისა და რეკლამების განთავსება
  ახალი მშენებლობა

"საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის" მე-5, 51-ე, 52-ე, 83-ე, 96-ე, მე-100 მუხლების, VI თავის, "მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის #57 დადგენილების, "ქალაქ თბილისის ტერიტორიის გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის საკრებულოს 2016 წლის 24 მაისის #14-39 დადგენილების თანახმად

გადაწყვეტილება

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურმა განიხილა თქვენ მიერ ელექტრონულად ატვირთული დოკუმენტაცია და გაცნობებთ: იმისათვის, რომ სამსახურმა იმსჯელოს აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით საჭიროა გაითვალისწინოთ შემდეგი:

1. არქიტექტურის სამსახურს მსგავსი სახით სარეკლამო აბრის მოწყობა შესაძლებლად არ მიაჩნია. ვინაიდან სარეკლამო აბრა გადატვირთული სახის მატარებელია და ჭრელი, საჭიროა საპროექტო დავალებით განსაზღვრული აბრის მხატვრულ–ვიზუალური ელფერის სადა და მსუბუქი ფორმულირების შემუშავება, ასევე აბრაზე მხოლოდ ძირითადი მანიშნებელი და არა გადატვირთული ხასიათის სიმბოლოების განთავსება. შესაძლებელია მწვანე ფერთან მისადაგებული სარეკლამო აბრის ესკიზის წარმოდგენა.

2. წარმოადგინეთ დღეის მდგომარეობით გადაღებული, რეალური სიტუაციის ამსახველი ფოტოსურათები თარიღს ფიქსაციით წარმოსახვითი ხაზებით მონიშნეთ თქვენს საკუთრებაში არსებული ფართის ფასადი და მიუთითეთ გაბარიტული ზომები.

3. წარმოადგინეთ დღეის მდგომარეობით გადაღებული, რეალური სიტუაციის ამსახველი ფოტოსურათები საფუძველზე დამუშავებული ფოტომონტაჟი. „ქ. თბილისის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის საკრებულოს 2016 წლის 24 მაისის #14-39 დადგენილების მე–18 მუხლის მე–10 პუნქტის შესაბამისად, განაშენიანების რეგულირების წესებისა და მოქმედი კანონმდებლობის დაცვით მოწყობილი საინფორმაციო ან/და სარეკლამო აბრების, წარწერების, ყუთების, ბილბორდების და სხვა მსგავსი ელემენტების ჯამური ფართობი არ უნდა აღემატებოდეს განთავსების ადგილზე (არა)საცხოვრებელი ერთეულის შესაბამისი ფასადის ან/და სახურავის ნაწილის ფართობის 20 %-ს. აღნიშნულის შესაბამისად, დაანგარიშდეს სარეკონსტრუქციო ფასადისა და სარეკლამო აბრის პროცენტულობა და დატანილ იქნას ფოტომონტაჟზე.

4. ვინაიდან საჯარო რეესტრიდან ამონაწერში ფიქსირდება თანასაკუთრება, იმ შემთხვევაში, თუ ჩასატარებელი სამუშაოები ეხება თანამესაკუთრის საკუთრებაში არსებულ ფართს, წარმოსადგენია თანამესაკუთრის წარმომადგენლად რეგისტრირებული უფლებამოსილი პირის მიერ სათანადო წესით გაცემული თანხმობა განსახორციელებელ სამუშაოებთან დაკავშირებით, ხოლო თუ არ ეხება განმარტეთ მოთხოვნის ტექსტში.

გაითვალისწინეთ სამსახურის მიერ მითითებული ხარვეზების გაუთვალისწინებლობის შემთხვევაში წინამდებარე განცხადება დარჩება განუხილველი. გაცნობებთ, რომ ხარვეზების გამოსწორებისთვის გეძლევათ 15 სამუშაო დღე. მოცემულ ვადაში ხარვეზების შეუსრულებლობის შემთხვევაში განცხადება დარჩება განუხილველი

გაითვალისწინეთ, თქვენი მხრიდან კვლავ არასრულყოფილი და ხარვეზების შემცველი დოკუმენტაციის წარმოდგენის შემთხვევაში, აღნიშნული განცხადება დარჩება განუხილველი.

- დამატებით გაცნობებთ, რომ გაურკვევლობის შემთხვევაში ინფორმაციის მისაღებად შეგიძლიათ დარეკოთ მერიის ცხელ ხაზზე - 2722222, ასევე შეგიძლიათ მობრძანდეთ შარტავას ქ. #7, მერიის შენობა, პირველი სართული, სივრცე#4.

- გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა N7), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, მისი ოფიციალური გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.